# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №22 **CPV** კოდი CPV -18530000

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის 05 სექტემბერს ქ.თბილისში

შემსყიდველი – ააიპ "სპორტული კლუბი **MIA FORCE**", ს/კ 416 293 754 დირექტორი - პავლე ჯუღელი

**მისამართი:** ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ., ტელ. 241 90 15

**საბანკო რეკვიზიტები:** ა/ა **709397520** "სახელმწიფო ხაზინა", kodi TRESGE22

**მიმწოდებელი** შპს "პრინტარეა" ს/კ 404 384 395

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ცინცაძის ქუჩა №41

ხელმძღვანელი: დირექტორი თინათინ სანაძე

საბანკო რეკვიზიტები: ა/ა **GE36CR0000000012353602** სს "ბანკი ქართუ", კოდი **GRTUG22**

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი** ადასტურებენ, რომ საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მოთხოვნისამებრ ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებული ღირებულების ფარგლებში ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

**ბრენდირებული ორგმინა და ბანერი ლითონის კონსტრუქციით**

(საქონლის მოკლე აღწერა)

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

## 2. ხელშეკრულების ფასი

2.1. საქონლის დასახელება, ძირითადი მაჩვენებლები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი ჩაიწერება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტში.

2.2. **ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება** შეადგენს:

495 (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტ) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3 საქონლის ღირებულება შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯებს, მათ შორის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

## 3. მიწოდების წესი

3.1. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებამდე 1 დღით ადრე ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს მისაწოდებელი საქონლის შესახებ, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია შეტყობინების მიღების დღიდან 1 დღის განმავლობაში უზრუნველყოს შეტყობინებაში მითითებული საქონლის მიღება თავის საწყობში.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდების შემდეგ უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაცია, მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს.

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოდ შეფუთული, ან არასრული თანხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე.

3.5. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერით.

3.6. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.7. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

## 4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება საქონლის გადაცემის შემდეგ 30 სამუშაო დღის განმავლობაში, საგადსახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.4. გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

## 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი.

5.2. გარდა 6.1. პუნქტში აღნიშნული ზიანის ანაზღაურებისა შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **0,1** %-ის ოდენობით.

5.3. გარდა 6.1. პუნქტში აღნიშნული ზიანის ანაზღაურებისა გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის **0,1** %-ის ოდენობით.

## 6. სხვა პირობები

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრამდე.**

6.2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება **2016 წლის 06 სექტემბრის დღის 12 საათამდე.**

6.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

6.4. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, რაზეც მეორე მხარეს წინასწარ უნდა აცნობოს წერილობით.

| | |
|---|---|
| შემსყიდველის მხრიდან | მიმწოდებლის მხრიდან |
| პავლე ჟუღელი | თინათინ სანაძე |